საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 04/07/9027
28/03/2018

9027-04/07-2-201803281549

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრს, ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 21 იანვრის N529 ბრძანებით შექმნილი იყო იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის უწყებათაშორისი კომიტეტი, რომელიც იყო სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო. ამავე ბრძანებით განსაზღვრული იყო უწყებათაშორისი კომიტეტის შემადგენლობაც. უწყებათაშორისი კომიტეტის საქმიანობის ვადად განსაზღვრული იყო სამოქმედო გეგმის ვადა - 2018 წლის 1 იანვრამდე. 2018 წლის 15 თებერვალს საქართველოს მთავრობის N404 განკარგულებით დამტკიცებული იქნა „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2018 – 2019 წლების სამოქმედო გეგმა“, რომლის თანახმად, სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს მართვასა და მონიტორინგს უწევს უწყებათაშორისი კომიტეტი, რომელიც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებასთან დაკავშირებით. უწყებათაშორისი კომიტეტი შედგება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, საქართველოს ფინანსთა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრების მოადგილეებისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისაგან. სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობების განხორციელებას სხვა უწყებებთან ერთად უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო. უწყებათაშორისი კომიტეტის წევრად მიზანშეწონილია განისაზღვროს აღნიშნული სააგენტოს კურატორი მინისტრის მოადგილე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დამტკიცდეს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2018 – 2019 წლების სამოქმედო გეგმის უწყებათაშორისი კომიტეტის ახალი შემადგენლობა. შესაბამისად, გთხოვთ გვაცნობოთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოადგილის შესახებ, რომელიც იქნება უწყებათაშორისი კომიტეტის წევრი.

პატივისცემით,

სოზარ სუბარი

მინისტრი